ლიტერატურული
ოდისეა

თომას ჰარისი

კრავთა დუმილი

ინგლისურიდან თარგმნა **ნიკა სამუშიამ**

სულაკაურის
გამომცემლობა

ვუძღვნი მამაჩემის ხსოვნას.

თარგმანი ეძღვნება ნინოს, რომელიც ამიერიდან მშობლიურ ენაზეც წაიკითხავს კლარის სტარლინგისა და ჰანიბალ ლექტერის გონებამახვილურ დიალოგებს.

მთარგმნელისაგან

თავი პირველი

„ეფ-ბი-აის[1]“ ქცევათმეცნიერების განყოფილება, რომელიც სერიულ მკვლელობებს იძიებს, ქუანტიკოს აკადემიის შენობის ყველაზე ქვედა სართულზე, ნახევრად მიწის ქვეშ მდებარეობს. სასროლეთიდან სწრაფად მომავალი კლარის სტარლინგი ლოყებაწითლებული ჩავიდა ქვემოთ. თმაში ბალახი ჩარჩენოდა, „ეფ-ბი-აის“ აკადემიის სტუდენტს ქურთუკზე მწვანე ლაქები დამჩნეოდა. სასროლეთში „დაუმორჩილებელი ეჭვმიტანილის“ ტყვიებისთვის თავის ასარიდებლად პირქვე ბევრჯერ დაემხო.

მოსაცდელ ოთახში არავინ იყო და შუშის კარზე თავის ანარეკლს შეავლო თვალი. ისედაც კი იცოდა, რომ კოხტად გამოიყურებოდა. ხელებზე დენთის სუნი ასდიოდა, მაგრამ დაბანას ველარ მოასწრებდა. განყოფილების უფროსმა კროფორდმა დაუყოვნებლივ გამოცხადება უბრძანა.

ჯეკ კროფორდი ოთახში მარტო იყო. სხვის სამუშაო მაგიდასთან იდგა და ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა. სტარლინგს წელს პირველად მიეცა მისი წესიერად შეთვალიერების საშუალება. ნანახმა ააღელვა.

[1] FBI – გამოძიების ფედერალური ბიურო

ჩვეულებრივ, კროფორდი ჰგავდა სპორტული აღნაგობის შუახნის ინჟინერს, სტუდენტობისას ბეისბოლს რომ თამაშობდა და მარჯვე ქეჩერობის[1] დამსახურებით, კოლეჯის სწავლის საფასურს იხდიდა. ახლა კი გამხდარიყო, პერანგის საყელო ხალვათად ჰქონდა, თვალები ჩასწითლებოდა და უპეები ჩაშავებოდა. ყველას, ვინც გაზეთებს კითხულობდა, კარგად მოეხსენებოდა, რომ ქცევათმეცნიერების განყოფილებას დიდი გასაჭირი ედგა. იმედია, სმა არ დაუწყიაო, გაიფიქრა სტარლინგმა. კროფორდს ეს არანაირად არ შეეფერებოდა.

– არა, – თქვა მოკლედ კროფორდმა და ტელეფონით საუბარი დაასრულა. შემდეგ იღლიაში ამოჩრილი საქაღალდე გამოიღო და გადაშალა.

– სტარლინგი, კლარის მ. დილა მშვიდობისა, – თქვა მან.

– გამარჯობა, – თავაზიანად გაუღიმა სტარლინგმა.

– ყველაფერი რიგზეა. იმედია, ჩემმა სატელეფონო ზარმა არ დაგაფრთხოთ.

– არა, – თქვა სტარლინგმა, მაგრამ გულში დაამატა: „ცოტათი კი“.

– თქვენმა ინსტრუქტორებმა მითხრეს, რომ კარგად სწავლობთ და ერთ-ერთი საუკეთესო ხართ ჯგუფში.

– იმედია. ჯერ შეფასებები არ გამოუქვეყნებიათ.

– ხანდახან სტუდენტებზე მე თვითონ ვეკითხები ხოლმე.

სტარლინგს გაუკვირდა; კროფორდი მას ორპირ, ნაბიჭვარ გამწვევ სერჟანტად წარმოედგინა.

სპეციალური აგენტი კროფორდი სტარლინგმა ვირჯინიის უნივერსიტეტში გაიცნო, სადაც კროფორდი მოწვეული ლექტორის სტატუსით კრიმინოლოგიას ასწავლიდა. მისი

[1] ქეჩერი – თამაშის პოზიცია ბეისბოლსა და სოფტბოლში; ქეჩერს უწოდებენ თავდაცვის პოზიციაში მყოფი გუნდის მოთამაშეს, რომელიც იმყოფება ბიტერის სახლსა და ზურგს უკან, მაგრამ მსაჯის წინ და იღებს ბურთს, რომელსაც აწოდებს პიჩერი.

ლექციებითა და სემინარებით მოხიბლულმა სტარლინგმა გამოძიების ფედერალურ ბიუროში მოსვლა გადაწყვიტა. როცა აკადემიაში ჩაირიცხა, კროფორდს წერილი მისწერა, მაგრამ მისგან პასუხი არ მიუღია. უკვე მესამე თვე იწურებოდა, რაც სტარლინგი ქუანტიკოში წვრთნას გადიოდა, მაგრამ კროფორდი ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა.

სტარლინგი იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვინმესგან დახმარებას ან მეგობრობას რომ ითხოვს, მაგრამ კროფორდის უყურადღებობა მაინც აწუხებდა. თუმცა, აი, კვლავ მასთან აღმოჩნდა და, თავისდა სამწუხაროდ, გააცნობიერა, რომ კროფორდი ძველებურად მოსწონდა.

კროფორდს აშკარად რაღაც სჭირდა. იგი მხოლოდ ინტელექტით კი არა, განსაკუთრებული გამჭრიახობითაც გამოირჩეოდა, სტარლინგი ამას მისი სამოსის ფერითა და ქსოვილის ხარისხით მიხვდა. „ეფ-ბი-აის“ აგენტის უნიფორმასაც კი სხვაგვარად იხდენდა. ახლაც მშვენივრად ეცვა, მაგრამ მაინც მოუწესრიგებლად გამოიყურებოდა.

– ერთი საქმე გამოჩნდა და თქვენ გამახსენდით, – თქვა მან, – საქმეც კი არაა, საინტერესო დავალება უფროა. აი, მაგ სკამზე ჩამოჯექით. აქ გიწერიათ, რომ ქცევათმეცნიერების განყოფილებაში მუშაობა გინდათ, როცა აკადემიაში სწავლას მორჩებით.

– დიახ.

– კრიმინალისტიკაში საკმაო გამოცდილება გაქვთ, სამართალდაცვაში – არანაირი. მინიმუმ, ექვსწლიან გამოცდილებას ვითხოვთ.

– მამაჩემი შერიფი იყო. ამ საქმისა რაღაც გამეგება.

კროფორდმა ჩაიღიმა.

– სამაგიეროდ, თქვენ გაქვთ ორმაგი ხარისხი კრიმინოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. საზაფხულო სტაჟირება გაგივლიათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თან... ორჯერ.

– დიახ.

– ფსიქოთერაპევტის ლიცენზია ჯერაც არ გაუუქმებიათ?

– კიდევ ორ წელს არ გაუვა ვადა. ცოტა ხნით ადრე ავიღე, სანამ ვირჯინიის უნივერსიტეტში ლექციების კითხვას დაიწყებდით... სანამ აქ მოსვლას გადავწყვეტდი.

– კარგა ხანს ელოდეთ, როდის დაიწყებოდა მიღება.

სტარლინგმა თავი დააქნია.

– თუმცა, ბედმა გამიღიმა... დრო გამომიჩნდა და ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალობას დავეუფლე. ლაბორატორიაში ვიმუშავე, სანამ აკადემიაში ახალწვეულთა მიღება დაიწყებოდა.

– მომწერეთ, რომ ჩვენთან სწავლას აპირებდით, მაგრამ, მგონი, არ გიპასუხეთ... ვიცი, რომ არ გიპასუხეთ. უნდა მომეწერა.

– ისედაც ბევრი საქმე გქონდათ.

– მძიმე დანაშაულთა აღკვეთის პროგრამაზე გსმენიათ რამე?

– დიახ, „ეფ-ბი-აის“ ბიულეტენში წერია, რომ მონაცემთა ბაზას ადგენთ, მაგრამ ჯერ პროგრამა არ ამოქმედებულა.

კროფორდმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– კითხვარი შევადგინეთ. ჩვენთვის ცნობილ ყველა თანამედროვე სერიულ მკვლელს მიესადაგება, – სტარლინგს ცუდად აკინძული ქაღალდის ფურცლების სქელი დასტა გადასცა, – გამომძიებლისთვის და გადარჩენილი მსხვერპლისთვისაც ცალკე განყოფილებები შეგხვდებათ. ლურჯ ფურცლებზე წერია კითხვები, რომლებსაც მკვლელმა სურვილისამებრ უნდა უპასუხოს, ხოლო ვარდისფერ ფურცლებზე ჩამოწერილი კითხვები გამომძიებელმა თავად უნდა დაუსვას მკვლელს, მისი რეაქციისა და პასუხების შესაფასებლად. მოკლედ, ქაღალდებში ქექვა მოგიწევთ.

ქაღალდებში ქექვა. კლარის სტარლინგმა მაშინვე ყურები

დაცქვიტა. იგრძნო, რომ სამუშაოს სთავაზობდნენ... ალბათ, დაუმუშავებელი მონაცემების ახალ კომპიუტერულ სისტემაში შეყვანა მოუწევდა. წინადადება მიმზიდველად კი ჟღერდა, ბოლოს და ბოლოს ქცევათმეცნიერების განყოფილებაში შეყოფდა თავს, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ თუ ქალს ერთხელ მაინც მიეკერება მდივნის იარლიყი, ვეღარასდროს მოიშორებს. არ უნდოდა, მცდარი არჩევანი გაეკეთებინა.

კროფორდი დუმდა, თითქოს მისგან პასუხს ელოდა... სტარლინგი დაფიქრდა, რამე ხომ არ მკითხაო.

– რომელი ტესტები გამოგიყენებიათ? მინესოტური მრავალფაზიანი? რორშახისა?

– დიახ, მინესოტური მრავალფაზიანი, რორშახისა – არასოდეს, – უპასუხა სტარლინგმა, – თემატური თვითაღქმის ტესტითაც გამომიცდია ადამიანი, ხოლო ბავშვები – ბენდერ-გეშტალტის ტესტით.

– ადვილად ხომ არ ფრთხებით, სტარლინგ?

– ჯერჯერობით არა.

– საქმე ისაა, რომ პატიმრობაში მყოფი ოცდათორმეტი სერიული მკვლელის გამოკითხვა და გამოკვლევა ვცადეთ, რათა გაუხსნელი საქმეებისთვის ფსიქოლოგიური ანგარიშების მონაცემთა ბაზა შევადგინოთ. პატიმართა უმეტესობა დაგვყვა... ვფიქრობ, გაუხარდათ, ტრაბახის საშუალება რომ მიეცათ. მოკლედ, ოცდაშვიდი პატიმარი თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა. ოთხმა პირში წყალი ჩაიგუბა, მაგრამ ისინი სიკვდილმისჯილები არიან და მათი მესმის. ერთი კი, ვისი ალაპარაკებაც ყველაზე მეტად გვინდა, ხმას არ იღებს. მინდა, ხვალ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სწორედ ეს პატიმარი მოინახულოთ.

კლარის სტარლინგმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, იმავდროულად, გულმა ცუდი უგრძნო.

– ვინ უნდა დავკითხო?

– ფსიქიატრი... ექიმი ჰანიბალ ლექტერი, – უპასუხა კროფორდმა.

ცივილიზებულ საზოგადოებაში ამ სახელის ხსენებას ყოველთვის ხანმოკლე დუმილი მოჰყვება ხოლმე.

სტარლინგმა კროფორდს დაძაბულმა შეხედა.

– კანიბალი ჰანიბალი, – თქვა მან.

– დიახ.

– კარგი, გასაგებია... გმადლობთ, რომ შანსი მომეცით, მაგრამ მაინტერესებს... რატომ მე?

– უმთავრესად იმიტომ, რომ გცალიათ, – თქვა კროფორდმა, – არა მგონია, ექიმმა ლექტერმა ჩვენთან ითანამშრომლოს. ერთხელ უკვე შემოგვითვალა უარი, მაგრამ შუამავლის, საავადმყოფოს დირექტორის პირით. მინდა, კვალიფიციური გამომძიებელი მივუგზავნო და პირადად დაელაპარაკოს. საამისო მიზეზი გამაჩნია, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ. ამ განყოფილებაში თავისუფალი არავინ მყავს, რომ ეს გააკეთოს.

– არავის გცალიათ... „ბუფალო ბილის“ და ნევადის ამბების გამო, – თქვა სტარლინგმა.

– სწორად მიხვდით. ძველი ამბავია. როგორც ყოველთვის, ხალხი გვაკლია.

– ხვალ უნდა წახვიდეთო, თქვით... ჩქარობთ. ამას მიმდინარე საქმესთან რაიმე კავშირი ხომ არ აქვს?

– არა. ნეტა კი ჰქონდეს.

– თუ თანამშრომლობაზე უარს მეტყვის, მაინც შევადგინო მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი?

– არა. უკვე ყელში ამომივიდა, ექიმი ლექტერი ბევრჯერ გამოიკვლიეს და არც ერთი ფსიქოლოგიური პორტრეტი ერთმანეთს არ ემთხვევა.

კროფორდმა ვიტამინ C-ს ორი აბი გადაყლაპა და წყალი დააყოლა.

– სასაცილოა. ლექტერი თვითონაც ფსიქიატრია და ფსიქიატრიული ჟურნალებისთვის სტატიებს წერს უჩვეულო საკითხებზე, მაგრამ არა თავის პატარ-პატარა ანომალიებზე. ერთხელ საავადმყოფოს დირექტორ ჩილტონს თავი მოაჩვენა, ვითომ გამოკვლევაზე თანახმა იყო, პენისზე წნევის აპარატის მანჟეტჩამოცმული იჯდა და კატასტროფების ამსახველ ფოტოებს ათვალიერებდა. ლექტერმა პირველმა გამოაქვეყნა ჩილტონის ფსიქოლოგიური პორტრეტი და საავადმყოფოს დირექტორი გაამასხარავა. ფსიქიატრიული სასწავლებლის სტუდენტებს სხვადასხვა სერიოზულ თემებზე სწერს, ესაა და ეს, თავის შემთხვევაზე არც მათთან ამბობს რამეს. თუ არც თქვენ დაგელაპარაკებათ, მინდა, მოკლე ანგარიში წარმომიდგინოთ: როგორ გამოიყურება თავად, როგორ გამოიყურება მისი საკანი, რას აკეთებს. ერთი სიტყვით, იქაური ვითარება მაინტერესებს. იქ ყოფნისას პრესას უფრთხილდით. ნამდვილ პრესას ვგულისხმობ, ტაბლოიდებს კი არა. ლექტერი პრინც ენდრიუზე მეტად უყვართ.

– ორმოცდაათი ათასი დოლარიც არ შესთავაზა რომელიღაც ჟურნალმა რეცეპტებისთვის? მგონი, სწორად მახსოვს, – თქვა სტარლინგმა.

კროფორდმა თავი დაუქნია.

– დარწმუნებული ვარ, „ნეშენელ ტეტლერი“ უკვე მოისყიდდა საავადმყოფოს რომელიმე თანამშრომელს და თქვენი ვიზიტის შესახებ მაშინვე შეატყობინებს.

კროფორდი წინ ისე გადმოიხარა, რომ მისი სახე სტარლინგისგან ნახევარ მეტრში აღმოჩნდა. სათვალის მინები გასივებულ უპეებს უბინდავდა. პირიდან სასიამოვნო სუნი ამოსდიოდა, ცოტა ხნის წინ „ლისტერინი“ გამოევლო.

– ახლა კი თქვენს ყურადღებას ვითხოვ, სტარლინგ. ხომ მისმენთ?